ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, **ზაალ** [redacted] **მარუაშვილი**, დავიბადე 1972 წლის 24 ივნისს, ქ. ქუთაისში.

1989 წელს დავამთავრე ქ. თერჯოლის N1 საშუალო სკოლა.

1990 წელსს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე (დაუსწრებელი განყოფილება), რომელიც დავამთავრე 1996 წელს.

1995 წლის 01 ივნისიდან ვმუშაობდი თერჯოლის რაიონის გამგეობის მრჩევლად იურიდიულ საკითხებში.

1999 წლის 25 მაისიდან - თერჯოლის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

2001 წლის 08 იანვრიდან ვმუშაობდი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

ვკითხულობდი ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში იურიდიულ ფაკულტეტზე სანივთო და საკორპორაციო სამართალში.

2002 წლის 01 ოქტომბერს, დავინიშნე ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ და მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებდი ქუთაისისი საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2006 წლის 24 თებერვლამდე, რა დროიდანაც 2010 წლის 10 დეკემბრამდე ვირიცხებოდი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.

სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სს ,,ინტერტრანსსერვისი-საზღვაო ვაჭრობის“, შპს ,,შოთა და კომპანიის“, შპს ,,ჯე-ისის“ იურისტად; ვიყავი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით.

2017 წლის 11 მაისს, დავნიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

2019 წლის 12 თებერვლიდან ვარ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.

მყავს მეუღლე, [redacted] და ოთხი შვილი: [redacted]